ხელშეკრულება №26/06.1-თ

26.06..2012 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

შპს „ენგურჰესი", იურ. მისამართი ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №8, შემდგომში „შემსყიდველად" წოდებული, *მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ლევან მებონიას* სახით, რომელიც მოქმედებს საწარმოს წესდების საფუძველზე ერთის მხრივ და

ი/მ ეკატერინე ბიგინაშვილის სახით, შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებული მეორეს მხრივ წინამდებარე ხელშეკრულებით თანხმდებიან შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

„შემსყიდველი" ავალებს, ხოლო „მიმწოდებელი" თანახმაა გადასცეს შემსყიდველს სახ. ტელეფონი (მიკროტელი 303) 5 ცალი და სახლის ტელეფონი პანატელი 5 ცალი.

3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

3.1. ერთი ცალი მიკროტელი 303 ტიპის ტელეფონის ღირებულება შეადგენს 22 ლარს, ხოლო ერთი ცალი პანატელის ტიპის ტელეფონის ღირებულება შეადგენს 14 ლარს, შესაბამისად შესყიდვის საერთო ღირებულებაა 180 ლარი.

3.2. ანგარიშსწორება მოწოდებულ საქონელზე მოხდება უნაღდოდ.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 10 დღის ვადაში.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

– გადასცეს შემსყიდველს ხარისხობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.
–წუნდებული საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში დროულად მოახდინოს მისი შეცვლა ახლით.

5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას - ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადაიხადოს მიღებული საქონლის საფასური.

6. საქონლის მიწოდების პირობები და მიღება ჩაბარების წესი

6.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს" შესასყიდი საქონელი ხელშეკრულების დადებიდან 2 დღის ვადაში.

6.2 „მიმწოდებლის" მიერ საქონლის სრულიად გადაცემის შემდეგ, მხარეები აფორმებენ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს.

7. მხარეთა პასუხისმგებლობები

7.1 ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ კანონით გათვალისწინებული წესით.

8. ფასთა ცვლილება

8.1. ფასთა ცვლილება არ განიხილება.

8.2. ხელშეკრულებაში შესული ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი სახით.

9. ფორს - მაჟორი

9.1. არცერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია სტიქიური, საომარი მოქმედებებით, ხანძრით, სამთავრობო გადაწყვეტილებებითა და სოციალური აფეთქებებით და ეს მოვლენები დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და უშუალოდ გავლენა იქონია მის შესრულებაზე;

9.2. თუ ჩამოთვლილი გარემოებებიდან უშუალოდ რომელიმე მოქმედებს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების ვადაზე, ეს ვადა გაგრძელდება დაუძლეველი ძალის გარემოებების მოქმედების ხანგრძლივობის შესაბამისად;

9.3. მხარე, რომელსაც წარმოექმნა დაუძლეველი ძალის გარემოება, ვალდებულია ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და შეწყვეტის შესახებ შეატყობინოს წერილობით მეორე მხარეს;

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია 2012 წლის 31 ივლისამდე.

10.2. ხელშეკრულების მოქმედების საერთო ვადის დენა იწყება ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. მხარეები წამოჭრილ სადაო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით წერილობითი შეტყობინებების და შესაბამისი წესით გაფორმებული დოკუმენტების საშუალებით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა ვერ მიაღწიეს საბოლოო შეთანხმებას, სადაო საკითხი წყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12 . მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	მიმწოდებელი
შპს „ენგურჰესი "	**ი/მ „ეკატერინე ბიგინაშვილი"**
სს „პროკრედიტ ბანკის" ქუთაისის განყოფილების ზუგდიდის ფილიალი ბანკის კოდი 220101929 ა/ა 301467126 ს/კოდი-251716371 **დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე :** _____ ლ. მებონია	**აგლაძის №7** **სს „პროკრედიტ ბანკი"** **სგნ 01004002586** **ანგ №GE13PC0223600100011209** ი/მ ეკატერინე ბიგინაშვილი